საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №964

თბილისი „31“ 10 2017 წ.

„ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების გამოცხადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 ივნისის N575 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 30 ოქტომბრის N1331319 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების გამოცხადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 ივნისის N575 ბრძანებაში შეტანილ იქნას ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების განაცხადის რეგისტრაციისა და სხვა ვადები ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

ალექსანდრე ჯეჯელავა

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების განაცხადის რეგისტრაციისა და სხვა ვადები

1. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მომზადება დასრულდეს 2017 წლის აგვისტოში.

2. გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის ვადა:
2.1 საბუთების წარდგენა - 2017 წლის 2-15 ოქტომბერი. მუსიკის საგნის V-VI კლასების სახელმძღვანელოების/სერიების შემთხვევაში - 2017 წლის 1-7 დეკემბერი;
2.2 სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების წარდგენა - 2017 წლის 23 ოქტომბერი - 12 ნოემბერი. მუსიკის საგნის V-VI კლასების სახელმძღვანელოების/სერიების შემთხვევაში - 2017 წლის 16-20 დეკემბერი.

3. გრიფირების განაცხადის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმების და ხარვეზის აღმოფხვრის ვადა:
3.1 გრიფირების განაცხადის შემოწმება - არაუგვიანეს 7 სამუშაო დღე;
3.2 ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადა - არაუგვიანეს 5 სამუშაო დღე.

4. რეცენზირების ვადა:
შინაარსობრივი/ტექნიკური რეცენზირება/საჯარო განხილვა (მათ შორის რეცენზიების გაცნობა/მითითება-რეკომენდაციების ასახვა/კორექტურა/ავთენტურობის შემოწმება) დასრულდეს არაუგვიანეს 2018 წლის 1 აპრილისა.

5. მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა:
5.1 მოსაზრებების წარდგენის ვადა - რეცენზირების შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 4 კალენდარული დღე;
5.2 მოსაზრებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა - მოსაზრებების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღე.

6. გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა - არაუგვიანეს 2018 წლის 16 აპრილი.